 შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 11437

25/04/2016

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაზე გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გადაეცეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ, ბალანსიდან ბალანსზე, სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მცირეფასიანი საშუალებები, დანართი №1-ის შესაბამისად, საბალანსო ღირებულებით -2542 (ორიათას ხუთასორმოცდაორი) ლარი.
2. სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველომ უზრუნველყოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონების გადაცემა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინასური დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების სპეციალისტი მზია ხუხია.
4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს.
5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი

დანართი #1

#	დასახელება	საინვენტარო #	რაოდენობა	ერთეულის საბალანსო ღირებულება	მთლიანი საბალანსო ღირებულება
1	საწერი მაგიდა	#1036641(1003687)	1	94	94
2	საწერი მაგიდა	#1004435(1003687)	1	94	94
3	საწერი მაგიდა	#1004368(1003687)	1	94	94
4	ბაინდერის კარადა	#1004465(1029655)	1	92	92
5	ბაინდერის კარადა	#1004466(1029655)	1	92	92
6	ბაინდერის კარადა	#1004390(1029655)	1	92	92
7	ბაინდერის კარადა	#1004433(1029655)	1	92	92
8	ბაინდერის კარადა	#1004419(1029655)	1	92	92
9	თეჯირი მონტაჟით	#1004389	6	300	1800

2542